



საქართველო
ლაგოდეხი, ქიზიკის ქ. № 25
ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის
საკრებულო ტელ: (+995354)221414

№ 25 QIZIKI STR.
LAGODEKHI
2700 GEORGIA
LAGODEKHI MUNICIPALITY
SAKREBULO TEL: (+995354)221414



KA000068157862821

№ 12-0

02 / აპრილი / 2021 წ.

განკარგულება

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის - მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტოს შექმნასა და მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების დელეგირებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 21-ე მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის და 106¹ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, საგარეჯოს, სიღნაღის, ყვარლის მუნიციპალიტეტებთან ერთად, დააფუძნოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი მიუსაფარი შინაური ცხოველების მართვის კახეთის ინტერმუნიციპალური სააგენტო, (შემდგომში, სააგენტო) რომლის საქმიანობის ძირითადი მიზანი იქნება შესაბამის მუნიციპალიტეტებში საქართველოს ორგანული კანონის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების, უპატრონო ცხოველების საკითხების გადაკვეთა, აგრეთვე ადამიანისა და შინაური ცხოველების უსაფრთხო თანაარსებობისათვის მდგრადი გარემოს შექმნა და შინაურ ცხოველებთან დაკავშირებით წესდებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობის განხორციელება. თანაარსებობისათვის მდგრადი გარემოს შექმნა და შინაურ ცხოველებთან დაკავშირებით წესდებით გათვალისწინებული სხვა საქმიანობის განხორციელება.

მუხლი 2

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერმა უზრუნველყოს უფლებამოსილების დელეგირების შესახებ ადმინისტრაციული ხელშეკრულების გაფორმება.

მუხლი 3

განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

მუხლი 4

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

